



„მიკროეკონომიკის“ სწავლების ძირითადი პრინციპები

რეზიუმე

მიკროეკონომიკა, როგორც ფირმების, შინაგაურნეობების, მომხმარებლებისა და ბაზრების შემსწავლელი დისტანციური, დაგენერიკული საფუძვლებზე დაფუძნებულ, ჩამოყალიბებულ და ლოგიკურად დასრულებულ სისტემას. ის საკითხები, რომელიც ნეოკლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ დასახა, ამავე თეორიის ფარგლებში შემუშავებული მეთოდების საშუალებით წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. გამონაკლის წარმოადგენს საკითხთა ჯგუფი, რომელიც დადგინდება პრობლემურია. კერძოდ, ითვლება, რომ რიგი არსებული მოდელებისა (სრულყოფილი კონკურენციის, ეკონომიკური ადამიანის, აბსოლუტური რაციონალურობის) სცილდება რეალობას, ანუ არარეალისტურია. მიკროეკონომიკის სწავლებისას უფრო მეტი კურადღება უნდა მოთხოვნის ამონტნექსილი და მოთხოვნა-მიწოდების არატრადიციული მრუდების განხილვას. კურსის გავლისას, ასევე პრობლემატურად მიგვაჩნია ერთპროდუქტიანი მოდელების გამოყენებაც.

საკვანძო სიტყვები: მიკროეკონომიკა, მიკროეკონომიკური თეორია, ეკონომიკური მეცნიერებები, მიკროეკონომიკის სწავლები.

შესაგალი

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში მსოფლიო ცივილიზაციამ მნიშვნელოვანი საფუძვლები შექმნა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებისათვის. ძირული, რადიკალური ცვლილებები განხორციელდა საკუთრების, კონკურენციის, რესურსების, განვითარების ფაქტორებისა და საქმიანობის მოტივაციის სფეროში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციაზე, ინტელექტუალურ პოტენციალზე, ცოდნაზე საკუთრებას. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, სწორედ ინტელექტი, ცოდნა, ინფორმაცია ხდება განვითარების მთავარი ფაქტორი, კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტრადიციული სასწავლო კურსების მოდერნიზება, მისადაგება რეალურ ეკონომიკასა და თეორიულ ეკონომიკაში მიმდინარე კარდინალურ ცვლილებებთან.

განხაბერ ციმინფია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესიონალური
E-mail: Kakhatsimintia@gmail.com

ძირითადი ტემსტი

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კარდინალური ცვლილებები განხორციელდა არა მარტო რეალურ ეკონომიკაში, არამედ არსებითი ძვრები მოხდა ეკონომიკური მეცნიერების თეორიულ ბაზისში. მიმდინარეობს ცვლილებები ეკონომიკური თეორიის ტრადიციულ შეხედულებებში - ეკონომიკურ სივრცეზე, ეკონომიკურ აგენტებზე, მათ ურთიერთკავშირზე. კერძოდ, იცვლება რაციონალურობისადმი აქამდე გაბატონებული მიდგომები, როდესაც ფირმების თეორიაში წარმმართველად მოგების მაქსიმიზაცია, ხოლო მოხმარების თეორიაში - სარგებლიანობა გვევლინებოდა, სუსტდება რესურსების აბსოლუტური იშვიათობისადმი კლასიკური მიღბომები და გადასვლა ხდება უკვე განახლებადი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე. ბაზრების ფუნქციონირების მექანიზმების განხილვისას, კონკურენციასთან ერთად სულ უფრო ხშირად განიხილება პარტნიორობა. ახალ ეკონომიკურ პარადიგმებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინსტიტუტები, ინტეგრაციული სტრუქტურები, შეხედულებები.

ვითარდება და ფართოვდება წარმოდგენები ადამიანის ქცევასა და საზოგადოების შესახებ. კერძოდ, გ. მერქიუ „ეკონომიკის პრინციპების“ მეოთხე გამოცემაში, მიკროეკონომიკის საზღვრების განხილვისას ასეთ მაგალითად წარმოადგენს ასიმეტრიული ინფორმაციის ეკონომიკას, პოლიტიკურ ეკონომიკასა და ქვევით (ბიჰევიორიულ) ეკონომიკას [1].

მიკროეკონომიკური თეორიისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შეხედულებათა ცვლილება მიკროეკონომიკურ სუბიექტებზე. სულ უფრო ფართოვდება მეცნიერთა ის წრე, რომლებიც მიკროეკონომიკურ სუბიექტებს (ფირმებს) უკვე განიხილავს არა როგორც ისეთ აგენტებს, რომლებიც მოგების მაქსიმიზაციის მიზნით რეაგირებენ საბაზრო პირობების ცვლილებაზე, არამედ მათი განხილვის დროს უფრო მეტი კურადღება ეთმობა ეკონომიკურ პროცეს-



ებში ისეთი მნიშვნელოვანი მონაწილეების რანგში მათ დახასიათებას, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ საბაზრო კონიუნქტურაზე. აღნიშნული კი დღის წესრიგში აყენებს მიკროეკონომიკის დისციპლინის სწავლებისას ახალი რეალიების გათვალისწინებას.

მიკროეკონომიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყვალბაზე პოპულარულ და ფუნდამენტურ ეკონომიკურ დისციპლინას. საერთაშორისო სტანდარტებით იგი ძირითად სასწავლო კურსს წარმოადგენს როგორც ეკონომიკის, ისევე ბიზნესის მიმართულებით.

მიკროეკონომიკა შეისწავლის ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევას ცალკეულ ბაზებზე, მათი ქცევის განმსაზღვრელ მოტივებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიკროეკონომიკის კურსის საფუძვლიანი დაუფლება წარმოადგენს ეკონომიკის პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადების აუცილებელ პირობას.

სწავლების ძირითადი პროცედურები. მიკროეკონომიკა, როგორც ფირმების, შინაგაურნეობების, მომხმარებლებისა და ბაზრების შემსწავლელი დისციპლინა, დღეისთვის წარმოადგენს ღრმა თეორიულ საფუძვლებზე დაფუძნებულ, ჩამოყალიბებულ და ლოგიკურად დასრულებულ სისტემას. ის საკითხები, რომელიც ნეოკლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ დასახა, ამავე თეორიის ფარგლებში შემუშავებული მეთოდების საშუალებით წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. გამონაკლისს წარმოადგენს საკითხთა ჯგუფი, რომელიც დღეისთვისაც პრობლემურია. კერძოდ, ითვლება, რომ რიგი არსებული მოდელებისა (სრულყოფილი კონკურენციის, ეკონომიკური ადამიანის, აბსოლუტური რაციონალურობის) სცილდება რეალობას, ანუ არარეალისტურია. როგორც 2008 წელს ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი აღნიშნავს „...ეკონომისტებმა ეკონომიკის ძველი, იდეალიზებული ხედვა შეიყვარეს, სადაც რაციონალური ინდივიდები ურთიერთობენ, ამჯერად უცნაური განტოლებებით გამოპრანჭულ სრულყოფილ ბაზრებზე“ [2]. აქედან გამომდინარე, მიკროეკონომიკის სწავლების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეორიასა და პრაქტიკას შორის სინერგიას. არსებული თეორია კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ეკონომიკური რეალობისგან, ფორმალიზებული მოდელები კი სრულყოფილად, ზუსტად და რეალურად ვერ ასახავენ მას. ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რეალობა განსხვავებულია, ე.წ. არარეალისტური მოდელების გამოყენება მიკროეკონომიკის ცალკეული

საკითხების სწავლებისას ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს, რამდენადაც მათი სიმარტივე აიოლებს საკითხის გაგებას. ამასთანავე, მსგავსი მოდელების დემონსტრირება აუცილებელია იმ კუთხითაც, რომ ისინი საწყის ეტაპს წარმოადგენენ და საფუძველს ქმნიან რეალური სიტუაციების შექმნას საკითხების მიზანით. პრობლემა იმაშია, რომ თანამედროვე სახელმძღვანელოებში ვერ ვხვდებით რეალობასთან უფრო მისადაგმული მოდელების განხილვას.

ჩვენი აზრით, ირაციონალური და არატრადიციული ეკონომიკური სუბიექტების განხილვას უფრო მეტი უურადღება უნდა დაეთმოს მიკროეკონომიკის თეორიის ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა „გიფენის პარადოქსი“, „ვებლენის ეფექტი“.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოთხოვნის მრუდების შექმნას უფრო მეტი დრო დაეთმოს მოთხოვნის ამოზნექილი და მოთხოვნა-მიწოდების არატრადიციული მრუდების განხილვას. როგორც ცნობილია სწორედ ამოზნექილი მრუდები ახასიათებს ინდივიდუალურ მოთხოვნას, თუმცა შემდგომ ინდივიდუალური მოთხოვნის შექმნას გამოიყენება წრფივი ან ჩანსნექილი მრუდები. რიგ სახელმძღვანელოებში მოცემულია მოთხოვნისა და მიწოდების არატრადიციული მრუდები, თუმცა მათი ასეთი კონფიგურაცია ფრაგმენტულადა განხილული. რაც შეეხება მოთხოვნის მრუდის არატრადიციული (დადგებითი) დახსრის მაგალითს, და აქედან გამომდინარე შედეგებს მათი განხილვა, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია წონასწორობის მექანიზმისადმი ალფრედ მარშალისა და ლეონ გალრასის მიღებულების განხილვით, თუმცა პრობლემურია იმის ახსნა, თუ რატომაა მოკლევადიან პერიოდში უფრო მიზანშეწოდილი გალრასის მიღებობა, ხოლო გრძელვადიანში - მარშალის.

მიკროეკონომიკის კურსში ასევე პრობლემურად ითვლება ერთპროდუქტიანი მოდელების გამოყენებაც. ცხადია, რომ მხოლოდ ერთი პროდუქტის მწარმოებელი ფირმა რეალობაში იშვიათობაა, რადგანაც ფირმათა უმრავლესობა რამდენიმე საქონლისა და მომსახურების წარმოებაზეა ორიენტირებული. ფირმის მიერ მხოლოდ ერთი პროდუქტის წარმოების დაშვების ნაცვლად, ორი (ან მეტი) პროდუქციის წარმოების განხილვისას, აუცილებელი ხდება მუდმივი ხარჯების (FC) განაწილების მექანიზმის, თითოეული პროდუქციისთვის ცვალებადი (VC) და ზღვრული (MC) ხარჯების განსაზღვრის, ცალკეული პროდუქციისთვის ამონაგების, ზღვრული ამონაგების განსაზღვრის და მსგავსი სხვა



საკითხის გადაწყვეტა. ფირმის ქცევის ერთ-პროდუქტიანი მოდელი აღნიშნულის გადაწყვეტის პრინციპულ საფუძველს იძლევა, მაგრამ ბაკალავრიატის სტუდენტისთვის ცხადია, მნელი ამოცანაა მისი მრავალპროდუქტიან მოდელში გადაყვანა. ე.ი. უნდა მოხდეს როგორც ერთპროდუქტიანი, ისევე მრავალპროდუქტიანი მოდელის განხილვა.

ფირმების თეორიაში რიგი საბაზისო მიდგომების გვერდით აუცილებელია ახალი მიდგომების განხილვაც. კერძოდ, აქცენტი უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ფირმების წარმატებები დაკავშირებულია მის შიდა ერთიანობასა და გარემოსთან პარმონიულ ურთიერთავშირზე, რაც კონკურენციასა და პარტნიორობას გულისხმობს. ამასთან, ფირმის განხილვა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ეკონომიკის ატომის ჭრილში, არამედ უნდა იქნას განხილული მისი რთული სტრუქტურა, რომელიც საქონლისა და მომსახურების წარმოების გარდა, აყალიბებს ცოდნას, მენტალიტებს, ინსტიტუტებს და ნერგავს მას ეკონომიკაში.

დასპეციალური მეცნიერებები

ამგვარად, როგორც რეალურ ეკონომიკაში, ისევე ეკონომიკური მეცნიერების თეორიულ ბაზისში განხორციელებული არსებითი ქვები, რაციონალურობისადმი, რესურსების აბსოლუტური შეზღუდულობისადმი, კონკურენციისა და პარტნიორობის მექანიზმების კლასიკური თეორიებისა და მიდგომების გადაფასებას იწვევს. ახალ ეკონომიკურ პარადიგმებში არსებითად მაღლდება ინსტიტუტების, ინტეგრაციული სტრუქტურების როლი და მნიშვნელობა.

ასეთ პირობებში ფართოვდება „მიკროეკონომიკის“ დისციპლინის მიერ შესასწავლი საკითხებისა და პრობლემების არეალი. კერძოდ, მისი კვლევის სფეროში შემოდის ასიმეტრიული ინფორმაციის ეკონომიკა, პოლიტიკური ეკონომიკა, ბიპევორული ეკონომიკა. ამასთანავე, ახლებურ გააზრებასა და მიდგომას მოითხოვს „მიკროეკონომიკის“ დისციპლინის ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოთხოვნის ამოზნექილი და მოთხოვნა-მიწოდების არატრადიციული მრუდები, ერთპროდუქტიანი მოდელები.

ბაზობრივი მეცნიერებები

ლიტერატურა

1. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. გამ. „დიოგენე“, გვ. 461-480.
2. პოლ კრუგმანი. როგორ მოახერხეს ეკონ-

ომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. ჟურ. „საქართველოს ეკონომიკა“. 2009. №10. გვ. 81.

MAIN PROBLEMS OF TEACHING “MICROECONOMICS”

KAKHABER TSIMINTIA
Asoc. prof. of Sokhumi State University
E-mail: Kakhatsimintia@gmail.com

Summary

Microeconomics as the discipline studying firms, domestic economies, customers and markets nowadays is a formed and logically compete system based on deep theoretical foundations. The issues which were set forth by neoclassical economic theory have been successfully solved by the methods worked out within the same theory. The exception of the rule is a group of the issues which are problematic at present; in particular, it is thought that a range of the existing models (perfect competition, an economic person, absolute rationality) are beyond the reality, this means that they are unrealistic. When studying demand curves, more time shall be devoted to discussion of convex and non-traditional demand-supply curves. Besides, it is problematic to use single-product models.